დეკემბერი 2017

ევროპული სკოლა

სკოლის გაზეთი

ქართული პროგრამის პირველი ასამბლეა

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ "ევროპული სკოლის" ხელმძღვანელობა ყოველთვის მხარს უჭერდა ნიჭიერი მოსწავლეების მიღწევებს. ამიტომაა, რომ "ევროპულ სკოლაში" ასამბლეები ტარდება ყოველთვიურად; თუმცა დღემდე ქართული სექტორის მოსწავლეებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა, საკუთარი მიღწევები, ნასწავლის, განვლილი პროექტების შეჯამება პრეზენტაციის სახით წარედგინათ, რადგან ეს ღონისძიება საერთაშორისო ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი.

7 დეკემბერს "ევროპულ სკოლაში" ქართული ენის პროგრამის პირველი შეკრება გაიმართა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო, ინფორმაციული და პრაქტიკული მასწავლებლებისათვისაც და მოსწავლეებისთვის. ამ შეკრებაზე ჩვენ ვნახეთ სხვადასხვა პროექტი უცხო ენებში, ასევე ინტერდისციპლინური პროექტი ეგვიპტური ცივილიზაციის შესახებ.

"ევროპული სკოლის" მოსწავლეები ყოველთვის განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ ლიტერატურით. ამჯერად გაიმართა დისკუსია პოპულარული რომანის, "დიდი გეტსბი", შესახებ. გიორგი მაჭარაშვილმა, რომელიც მე-12 კლასის მოსწავლეა, ფართო აუდიტორიას გაუზიარა საკუთარი იდეები რომანის პროტაგონისტის შესახებ. ამ შეკრებით "ევროპულმა სკოლამ" ასევე აღნიშნა მოსწავლეების წარმატება. ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო ჯომაროვის მათემატიკის ფესტივალზე "ევროპული სკოლის" გუნდის გამარჯვება, რომლებსაც მოსწავლეები ოვაციებითა და ტაშით შეეგებნენ. პრეზენტაციის ბოლოს "ლონდონის გამზირზე" მოსწავლეთა ნამუშევრების, სხვადასხვა სპორტული თასებისა და ჯილდოების გამოფენა გაიმართა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ყოველთვიური შეკრება გაგრძელდება დიდი მიღწევებით, რაც მოსწავლეების მუშაობას უფრო და უფრო პროდუქტიულს გახდის.

ნიკა ჯორძაძე

CIS MEMBER

ი. სხირტლაძის ქუჩა 2, თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 239 59 64,
მეილი: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

საფრანგეთის ელჩი პასკალ მენიე "ევროპულ სკოლაში"

8 დეკემბერს საქართველოსა და საფრანგეთის დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე "ევროპულ სკოლას" ესტუმრნენ: საქართველოში საფრანგეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი პასკალ მენიე, ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი ჟან-ივ ლავუარი და სხვა საპატიო სტუმრები. ჩრდილების თეატრით, ფრანგული სიმღერებით, ლექსებით, კოსტიუმირებული თეატრალური სანახაობებით გაცოცხლდა სცენაზე საქართველო-საფრანგეთის საუკუნოვანი ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტები და ის სახეები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ამ ურთიერთობის გაღრმავებაში.

ღონისძიების დასასრულს საფრანგეთის ელჩი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან მოკლედ მიმოიხილა საქართველო-საფრანგეთის დიპლომატიური ურთიერთობის 25-წლიანი ისტორია; აღნიშნა თავისი წინამორბედი ყველა ელჩის ის თანადგომა, რომელსაც ისინი რთულ პერიოდში უწევდნენ ჩვენს ქვეყანას; გამოკვეთა სახეები, რომლებმაც კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებში შეიტანეს წვლილი. ბოლოს, საფრანგეთის ელჩმა მადლობა გადაუხადა "ევროპული სკოლის" დამფუძნებლებსა და დირექციას იმ ძალისხმევისთვის, რომელსაც ისინი იჩენენ სკოლაში ფრანგული ენის პოპულარიზაციის კუთხით და გამოთქვა მზაობა, რომ ხელს შეუწყობს "ევროპული სკოლისა" და საფრანგეთის საელჩოს ურთიერთობის გაღრმავებასა და სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას.

ნინი შიოლაშვილი

სპორტის დღე

შაბათს, 9 დეკემბერს, ევროპულმა სკოლამ ორგანიზება გაუწია სპორტულ დღეს, რათა აღენიშნა ახალი სპორტული დარბაზის გახსნა კამპუსში. PTA-ს თავმჯდომარეები და კომიტეტის წევრები აქტიურად კოორდინირებდნენ ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული პროგრამების, IB და AHS გუნდები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტულ თამაშებსა და აქტივობებში. ოლიმპიური ჭიდაობის ჩემპიონი მანუჩარ კვირკელია გულშემატკივრის სახით ვიხილეთ მხარდამჭერი მშობლების გვერდით. თამაში ქართული სექტორის გამარჯვებით დასრულდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ღონისძიების მეშვეობით მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, ეჩვენებინათ თავიანთი სპორტული შესაძლებლობები, მიეღოთ უნიკალური გამოცდილება და გაკვეთილები მეგობრული კონკურენციის შესახებ დადებით, ჯანსაღ გარემოში. ეს იყო დიდი შესაძლებლობა მეგობრების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის, რომ ერთად წარმოეჩინათ აქტიური ცხოვრების, ჯანსაღი ცხოვრების წესის უპირატესობა და სარგებელი.

ფიამეტა ბოფეი

საქველმოქმედო ბაზრობა "გაეცი სიყვარულით"

"გაეცი სიყვარულით" - ეს ის სიტყვები, რომლებსაც ევროპული სკოლის დერეფნებში გაიგებ; ეს არის ხიდი ორ სხვადასხვა სამყაროს შორის და საშობაო სასწაულების იმედი. ჩვენ ყველას გვჯერა, რომ შობას გარშემო ყველაფერი სავსეა სიხარულით, მეორე შანსითა და შესაძლებლობით, დავეხმაროთ სხვებს. ევროპული სკოლის მოსწავლეები ყოველთვის აქტიურად მუშაობდნენ წლის ამ დროს, რათა ერთად იდგნენ და დაეხმარონ უნარშეზღუდულ ბავშვებსა და უსახლკაროებს. 15 დეკემბერს სკოლამ მოაწყო საახალწლო საქველმოქმედო ბაზრობა "გაეცი სიყვარულით", რომელშიც სკოლის მთელმა საზოგადოებამ და პარტნიორმა ორგანიზაციებმა - საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაცია, სოციალური საწარმო "ბაბალე", ორგანიზაცია "მშობელთა ხიდი" - მიიღეს მონაწილეობა. მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა ხელნაკეთი ნივთები და სახლში მომზადებული ტკბილეული გამოფინეს სკოლის ეზოში.

ცივმა ამინდმა, მაგრამ თბილმა გრძნობებმა, ცხელმა შოკოლადმა, მშვენიერმა ნაკეთობებმა, მუსიკალურმა ნომრებმა, საახალწლო განათებამ სულ სხვაგვარი შუქით აღავსო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა - პარაორკესტრის მუსიკოსების - თვალები. ამ შუქმა და სიყვარულით სავსე გარემომ, რომელშიც დიდი ენთუზიაზმი ჩადო "ევროპული სკოლის" საზოგადოებამ, მართლაც რომ განსაკუთრებული ელფერი შესძინა საქველმოქმედო ღონისძიებას, რომლის ნაწილიც გახდა თითოეული ჩვენგანი იმ საღამოს. ამ ღონისძიებით არ დასრულებულა ჩვენი საშობაო სასწაულების მატარებელი, შემდეგი ღონისძიება ევროპული სკოლის ბავშვებმა განახორციელეს შეჭირვებული ოჯახების მხარდასაჭირად. მოსწავლეებმა შეაგროვეს ტკბილეული და საკვები პროდუქტები სოციალურად შეჭირვებული პირებისთვის. 20-21 დეკემბერს შეგროვილი სურსათი დარიგდა ბავშვთა სახლებში, დღის ცენტრებსა და მოხუცებულთა სახლებში. ბენეფიციარებმა მადლიერება და სითბო არ დაიშურეს ჩვენი მოსწავლეების მიმართ.

ნინი შიოლაშვილი